ეროვნული ბიბლიოთეკა

№43(44) 1.11.1991

სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ნომერშია:

კიდევ ერთი ლეგიონერი საქართველოდან

კაბი კაჭარავა „ანორთოზისში“ მიდის

მე-3 გვერდი

23 000 მოქალაქე 1 000 ფეხბურთელი 48 გუნდი

მასიმო ბონინი „ვარსკვლავი“ სან-მარინოდან

მე-3 გვერდი

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 16 საათზე, სამბისტთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ექვთიმიშვილის პრესკონფერენცია.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

გია ახალაძის ფოტო

დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

იხილეთ მე-2 გვ.

ამიერიდან ექსჩემპიონი

გამართლდა ჩვენი ყველაზე დიდი ვარაუდი, რომლისთვისაც, ეს ახლა უკვე აღარცაა დასამალი, შინაგანად შემზადებული ვყოფილვართ. საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონის გვერგვინს ასე იოლად არ თმობენ და თუ ეს მაინც მოხდა, იმას ნიშნავს, რომ ყველაფერში ბოლომდე ვერ გავთვალეთ, რაღაც შეგვეშალა, ჩვენს სურვილს რაღაც დავაკელით. მაგრამ ცხოვრება ამ ერთი მარცხით არ წყდება და არ არის გამორიცხული, რომ ზოგი ჭირი სასარგებლო გამოდგეს.

ქართველ მოჭადრაკე ქალთა „ოცდაცხრაწლიან დიქტატურას“ ბოლო მოუღო, ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული, ღირსეულთა შორის ღირსეულმა, 20 წლის პეკინელმა სტუდენტმა სე ჯუნმა. თანაც თანამემამულეთაგან განსხვავებით (იყვნენ ასეთებიც: ლიუ შილანი და უ მინცენი) უმაღლეს მწვერვალს პირველსავე ცდაზე მიაღწია. ქართველი გულშემატკივრებისთვის ეს თავისებურად გასაიდუმლოებული მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და სე ჯუნს შორის დამთავრდა ჩინელი დიდოსტატის გამარჯვებით — 8,5:6,5.

არაფერია ქვეყნად მუდმივი და, ცხადია, არც ქართველი მოჭადრაკეების წარმატება იქნებოდა უსასრული. ამ უკიდეგანო ქვეყანაზე, ადრე თუ გვიან ვიღაც უსათუოდ გამოჩნდებოდა მჭობნის მჭობნი. გუშინ არ გვყავდა ტოლი, აი დღეს კი... დღეს ახალი გვირგვინოსანი დაიბადა. ოღონდ გვეჩვენება, რომ ჯეროვანი წინააღმდეგობა მას ვერ გაუწიეთ. და მაინც, ჩვენი ვალია ახალ ჩემპიონს გამარჯვება მივულოცოთ და გავაფრთხილოთ: იარაღს არ ვყრით, ბრძოლას ვაგრძელებთ!

თამაშები ჩატარდა. ეს დიდებულია!

მაშ ასე, საქართველოს რესპუბლიკის პირველი სპორტული თამაშები დასასრულს მიუახლოვდა. პრეზიდიუმი რამდენიმე სახეობაში დარჩა გამოსავლენი. სამწუხაროდ, მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო ყველაფერი მაღალ დონეზე ვერ ჩატარდა. იყო ხარვეზები. გასაგები მიზეზების გამო ვერც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაუთმეს თამაშებს ჯეროვანი ყურადღება. თავად თამაშებიც ვაცილებთ მეტ მნიშვნელობას შეიძენდა საქართველოს ოლიმპიურ გუნდს ბარსელონისკენ მიმავალი თვითფრინავი რომ ელოდებოდეს, მაგრამ ისევ და ისევ გავიმეორებთ, ასეთი მასობრივი შეჯიბრებები რომ ჩატარდა, ეს თავისთავად უდიდესი საქმეა.

თბილისის ველოტრეკზე 20-დან 23 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა ველომრბოლთა ტურნირი. მასში მონაწილეობდნენ აჭარის, სამეგრელოს, იმერეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და თბილისის გუნდები. სხვადასხვა მიზეზების გამო არავინ იყო აფხაზეთიდან და კახეთიდან. ფავორიტებად თბილისელები ითვლებოდნენ და მათ კიდეც დამტკიცეს თავისი სიძლიერე. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს იმერეთის გუნდის წარმომადგენლებმა. 1000 მეტრზე გიტსა და სპრინტში თბილისელმა ვალერი პოტაპოვმა („მართვე“) გაიმარჯვა. მეორე ადგილი (1000 მეტრზე გიტში) სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენის, ომარ ფხაკაძის ვაჟმა — ომარ ფხაკაძემ დაიკავა. მისი დრო იყო 1.11.33, რაც 2 წამით ნაკლები აღმოჩნდა პოტაპოვის შედეგზე (1.08.97). 4 კმ-ზე გამოდგენებში ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვება კვლავ თბილისელ სპორტსმენს აკაკი ზაბახიძეს დარჩა („შევარდენი“, შედეგი 5.05. 20 წმ). მეორე და მესამე ადგილები იმერელმა მრბოლელებმა დავით შავგულიძემ ქუთაისი, „მართვე“, 5.08.21 წმ) და კახა ოდიკაძემ (თერჯოლა, „მართვე“ 5.15.65) მოიპოვეს. 4 კმ-ზე გუნდურ რბოლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა (აკაკი ზაბახიძე, ზაზა მელაძე, ალეკო ხელაძე, ვალერი პოტაპოვი 4.52.07). მეორე და მესამე ადგილები იმერეთს და ქვემო ქართლს (რომელიც მზოლოდ რუსთავით იყო წარმოდგენილი) ხვდათ. ჯგუფური რბოლა 75 წრე, 15 შუალედური ფინიშით, ერთადერთი სახეობაა რომელშიც თბილისელებმა ვერ გაიმარჯვეს. თავდან 38 ქულით აკაკი ზაბახიძე ლიდერობდა, მეორე ადგილზე, 34 ქულით, ასევე თბილისელი მირიან დოლიძე. მიდიოდა და თერჯოლელ კახა ოდიკაძეს, რომელმაც მხოლოდ 15 ქულის აღება შეძლო, თითქოს გამარჯვების შანსი არ რჩებოდა, მაგრამ მან მოახერხა ლიდერებს დაწეოდა და წინ გასულიყო.

წყალტუბოში, მოჭადრაკეთა ტურნირზე ექვსი ქალი და ექვსი ვაჟი იბრძოდა პირადი პირველობისათვის. ქალთა შორის ყველას აჯობა იმერეთის გუნდის წარმომადგენელმა თამილა მესხმა. მან 5 შესაძლებლობიდან 4 ქულა მოიპოვა და ერთი ქულით გაუსწრო თანგუნდელ ინგა ხერცილავას. მესამე ადგილზე 2,5 ქულით შიდა ქართველი ციალა ქასოშვილი გავიდა. ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი იყო თბილისელი თამაზ ტაბატაძე (3,5 ქულა), მეორე და მესამე ადგილების ბედი ორ დამატებით 15-15 წუთიან პარტიებში. გადაწყდა. თბილისელმა გივი გოგიჩაიშვილმა მოუგო სამეგრელოს წარმომადგენელ გიზა თორიას.

ტანმოვარჯიშეთა ტურნირი თბილისში ჩატარდა და მასში თბილისის, აჭარის, ქვემო ქართლის, იმერეთის და აფხაზეთის გუნდების გარდა მონაწილეობა მიიღეს ბელორუსიის და სომხეთის სპორტსმენებმაც.

მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის გუნდსაც, რომელიც „კიდევ ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე სპორტსმენები მანდარინში მოიწამლენ და სპორტსკოლის მაგივრად ინფექციურ საავადმყოფოში ამოყვეს თავი. გუნდურ შეჯიბრებაში ადგილები ასე განაწილდა. ვაჟები: თბილისი 275.95, აჭარა 215.85, სამეგრელო 193.75, ქალები: თბილისი 183.0, იმერეთი 163.0, აჭარა 158.25, აფხაზეთი 94.85.

ქუთაისში ძიუდოისტთა ტურნირზე საინტერესო გამოდგა ცნობილი მძიმეწონიანების დავით ხახალეიშვილისა და ზაზა დაბრუნდაშვილის ფინალი. გამარჯვებული დასახელეს მსაჯებმა. „ოქროს“ მედალი წილად ხვდა დავით ხახალეიშვილს.

სსრკ-ის ეოკ-ი აღარ არსებობს, არის საქართველოს ეოკ-ი

აბრევიატურიდან „სსრკ-ის ეოკ-ი“ ასო „ე“ ამოვარდა. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აღარ არსებობს, დარჩა მხოლოდ „ოლიმპიური“. რაკი ასეა, საკითხავია, როგორი იქნება „ცენტრის“ შემდგომი ურთიერთობა დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან, კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან?. ამაზე იყო საუბარი სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ვიტალი სმირნოვის პრეს-კონფერენციაზე, რომელიც თბილისში მოაწყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა, რესპუბლიკის და ტურიზმის მინისტრმა კახი ასათიანმა, საქართველოს ეოკ-ის აღმასკომის წევრებმა. მანამდე კი ისინი ცალკე შეხვედრაზე სტუმარს ესაუბრნენ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მიერ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღიარების საკითხებზე. ვიტალი სმირნოვმა მასპინძლებს სრული მხარდაჭერა აღუთქვა, რაც შესაბამისი ოქმის ხელმოწერითაც განამტკიცა.

— ჩემი მთავარი ამოცანაა ვემსახურო სპორტსმენებს. მივაღწიო იმას, რომ ათლეტმა, რომელიც ღირსია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისა, ასეთი შესაძლებლობა არ დაკარგოს, — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ვიტალი სმირნოვმა. მან თქვა, რომ საქართველოში ჩამოვიდა ჩვენს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან კომპრომისის მისაღწევად, რათა ქართველ სპორტსმენებს მიეცეთ 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საშუალება. საქართველოს ეოკ-ის პოზიცია კი მტკიცე და გარკვეულია: ჩვენი ათლეტები ოლიმპიური თამაშების სარბიელზე მხოლოდ დამოუკიდებლად, თავიანთი სახელმწიფო და ეროვნული სიმბოლიკით შეიძლება გამოვიდნენ.

ვიტალი სმირნოვმა დამსწრეთ აცნობა, რომ იგი უკვე იყო უკრაინასა და მოლდოვაში, სადაც მოლაპარაკება ჰქონდა ამ რესპუბლიკების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებთან და მიაღწია პრინციპულ შეთანხმებას, რომ ამ ორი სახელმწიფოს წარმომადგენლები იასპარეზებენ ერთიან ოლიმპიურ გუნდში, რომელიც შეიძლება უკვე სსრ კავშირის ნაკრების სახელით კი არა, ოლიმპიური კომიტეტის ნაკრების სახელით გამოვიდეს. ჯერჯერობით ხომ ეს კომიტეტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთადერთი ოფიციალური წარმომადგენელია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. ყოველ რესპუბლიკას თავისი ვარიანტი აქვს მომზადებული. ვ. სმირნოვი მზადაა განიხილოს ყველა წინადადება, მაგრამ საბოლოო ვარიანტი უნდა ჩამოყალიბდეს ყველა რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან ცალკე გამართულ შეხვედრაზე.

— თუ ერთიანი, ყველასათვის მისაღები ვარიანტის შემუშავება მოხერხდა, — თქვა ვიტალი სმირნოვმა, — მაშინ მას დეკემბრის დამდეგს განსახილველად წარვუდგენთ სოკ-ის აღმასკომს ლოზანაში. მით უფრო, რომ უკვე გვაქვს წინასწარი შეთანხმება სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩთან ამ განხილვაზე ყველა დაინტერესებულ მხარის მონაწილეობის შესახებ, როგორც ეს ბალტიისპირეთის ქვეყნების საკითხის განხილვისას მოხდა.

მაინც რა ვარიანტებია წამოყენებული პრობლემის კომპრომისულ გადაწყვეტისათვის? როგორც ვ. სმირნოვმა ჟურნალისტებს აუწყა, რესპუბლიკების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების უმეტესობა მისაღებად თვლის შემდეგ ვარიანტს: მათი წარმომადგენლები ერთიან კოლონაში გამოვლენ, ოღონდ თავიანთი ეროვნული დროშით და სიმბოლიკით. თუ რესპუბლიკების სპორტსმენები გაიმარჯვებენ ან საპრიზო ადგილს დაიკავებენ ინდივიდუალურ სახეობებში, მათს პატივსაცემად აღიმართება არა საბჭოთა კავშირის, არამედ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშა. ასეთი რამ უკვე მოხდა ეოსკოვში, 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ბერლინში, სოკ-ის ამასწინანდელ კონგრესზე სამარანჩს პირად საუბარში სწორედ ეს ინფორმაცია მიაწოდა სმირნოვმა. ყველაფერი გადაწყდება ლოზანაში დეკემბრის შეხვედრის შემდეგ, რადგან ამ საკითხს ბევრი ტექნიკური საკითხი ახლავს. ოლიმპიური ქარტია იცავს პრინციპს: „ერთი ქვეყანა — ერთი წარმომადგენელი“, მაგრამ სმირნოვმა, ამავე დროს, შენიშნა, რომ სოკ-ი საკმაოდ „მოქნილი“ ორგანიზაციაა, იგი მუდამ კომპრომისს ეძებს და დიდი ყურადღებით ეკიდება ყველა საკითხს.

ნონა გაფრინდაშვილმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ვიტალი სმირნოვი, ყოფილი „ცენტრის“ ბევრი გავლენიანი სპორტული ფუნქციონერისაგან განსხვავებით გაგებითა და კეთილგანწყობით ეკიდება საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ქალბატონი ნონას თქმით, მან ეს საკმაოდ დაამტკიცა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ნათლად არ არის გამოკვეთილი, რამდენად დაკმაყოფილდება ჩვენი მთავარი მოთხოვნა. სპორტსმენთა საერთო კოლონას ხომ წინ მაინც საბჭოთა დროშა მიუძღვება. ასევე საბჭოთა დროშის აღმართვა აღნიშნავს წარმატებას გუნდურ სახეობებში, სადაც სხვადასხვა რესპუბლიკების სპორტსმენებს შეიძლება ერთად მოუხდეს ასპარეზობა. ჩვენი ათლეტების მიერ მოპოვებული მედლები კი სხვა ქვეყნის „ყულაბას“ მიემატება და ა.შ. გარდა ამისა, ვინ არის თავდები, რომ ქართველი ათლეტების მომზადების დონე ობიექტურად შეფასდება და რომ ოლიმპიური გუნდების შემადგენლობის დადგენისას სუბიექტურობას არ გამოიჩენენ, როგორც ეს სხვა დროს არაერთხელ მომხდარა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ამ პოზიციას სავსებით დაუჭირა მხარი ბატონმა კახი ასათიანმა.

კ.სმირნოვმა აღნიშნა, რომ იგი გაგებით ეკიდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნებს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებულია არა მხოლოდ მასზე, არამედ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხვა წევრებზეც, რომელთა უმრავლესობაც, მათ შორის სსრკ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვ.კოლოსკოკი, ჯერ კიდევ გუშინდელი დღის პრინციპებსა და პოზიციებს იცავენ. მათ ავიწყდებათ, რომ ახლა სხვა დროა და, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, რესპუბლიკების ინტერესებიც უნდა გაითვალისწინონ. მიუხედავად ამისა, კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღებად გზების ძიება გრძელდება.

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა დამსწრეთ აცნობა, რომ დღეს ამ ორგანიზაციის წევრია 170 ქვეყანა, ხოლო სამარანჩის მაგიდაზე კიდევ ორ ათეულზე მეტი განაცხადი უდევს. ამ განაცხადებს განიხილავენ მხოლოდ 1993 წელს.

კოხტა ქალაქში უყვართ ფეხბურთი

ვანი კოხტა ქალაქია, მწვანეში ჩაფლული. ვუახლოვდებით მას და გზაზე რამდენიმე საფეხბურთო მოედანს ვხედავთ. ერთი მათგანი სპორტსკოლის არის. ქალაქივით კოხტაა ცენტრალური სტადიონი, ისიც მწვანეში ჩაფლული. იქაურებმა მითხრეს, რომ ის უფრო ლამაზი იყო, როდესაც მის შესასვლელთან, აუზში თევზები ცურავდნენ და შადრევანი ამოდიოდა. სტადიონი ათი ათას მაყურებელს იტევს. სხვადასხვა ფერის სკამები... ბოდიში, მე მხოლოდ წითელი ვნახე, მათ ზემოთ ლურჯი და თეთრი სკამების წყება ერთ-ერთი სტუმარი გუნდის „ემოციურ" გულშემატკივრებს დაუნგრევია. ვანი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქალაქია. შესაძლოა „სულორს" (მოგეხსენებათ, ვანის გუნდს ასე ქვია) ციდან ვარსკვლავები არასდროს მოუწყვეტია, მაგრამ რამდენჯერმე იყო საქართველოს თასის მფლობელი, იყო ჩემპიონი (საუბარია საქართველოს ადრინდელ ჩენმპიონატებზე, სანამ „იბერია", „გურია", „ქუთაისი" და სხვები საკავშირო პირველობებზე გამოდიოდნენ). გუნდს გულშემატკივარი არ აკლია. ეს რომ მითხრეს, თავიდან გავოცდი, რადგან ხობის „კოლხეთთან" მატჩის დაწყებამდე თითო-ოროლა კაცი იყო მოსული, მაგრამ დამპირდნენ მეორე ტაიმში მოვლენო. მართლაც ასე მოხდა. საქმე თურმე ის ყოფილა, რომ „სულორის" ერთგულ გულშემატკივრებს, სოფელ სალხინოს მკვიდრთ თავიანთი გუნდი შეუქმნიათ და ზონალურ პირველობაში ჩაბმულან. იმ დღეს სალხინოში თამაში ორ საათზე დაუნიშნავთ, ვანში კი სამზე. იქნებ „სარბიელის" საშუალებით ვთხოვოთ ვისაც ჯერ არს, რომ ამ ორი გუნდის შინ თამაში არ დაემთხვესო, თქვეს ვანელებმა. ვანის სტადიონზე განათება არ არის, რომ შეხვედრები საღამოობით დაიწყონ.

ახლა კი უშუალოდ „სულორზე". აი რა გვითხრა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბადრი ხარაბაძემ:

— საგაზაფხულო პირველობის შემდეგ გუნდი ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა. და მას მთლიანად დაჭირდა გადაწყობა. მზადებისას ბევრი ცდა გუნდი ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ქუთაისიდან დაგვიბრუნდა დვალიშვილი, მოწვეული გვყავს ორი — სუროვი და რეუდსკი. ყოფილი მოსკოვის სპარტაკელი სუროვი პრეტენზიული კაცია და მასთან ურთიერთობა რთულია. ახლა მოსკოვშია წასული და დღედღეზე ჩამოვა. ჩამოსვლისთანავე ვისაუბრებთ, თუ დაიცავს ჩვენი გუნდის პრინციპებს — დავტოვებთ. რეუდსკიმ კი თავად მოგვაგნო, გუნდს თუ გამოვადგები, ამიყვანეთო. ახლა ერთი პრობლემის წინაშე ვდგევართ, ჩვენმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა, დავით პაიკიძემ ტრავმა მიიღო, რაც გუნდისთვის დიდი დანაკლისია. იმედი გვაქვს, რომ იგი მალე ჩადგება მწყობრში. გუნდის ყველაზე სუსტი რგოლია თავდასხმა. გვინდა თავდამსხმელი სხვა გუნდიდან მოვიწვიოთ. რაც შეეხება დანარჩენ რგოლებს, აქ ახლაც და მომავალშიც ჩვენი ბიჭების იმედი გვაქვს. მუშაობას გავაგრძელებთ იმ ფეხბურთელებთან, რომლებიც დღეს დუბლში თამაშობენ. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ „სულორი" დისციპლინირებული გუნდია. ამი სეზონის მანძილზე მხოლოდ ათი ყვითელი ბარათი მივიღეთ. მსაჯთან კამათი ჩვენი მხრიდან გამორიცხულია. ჯერჯერობით ჩვენი ამოცანაა დავრჩეთ უმაღლეს ჯგუფში და მაყურებელს ლამაზი თამაში ვაჩვენოთ.

გუნდის ტექნიკური დირექტორი ალექსანდრე გოგორიშვილი:

— ფეხბურთელებისათვის ხელფასების და პრემიების მიცემა ერთი დღითაც არ დაგვიგვიანებია, რასაც ჩვენს სპონსორებს, ვანის აგროსამრეწველო გაერთიანებას, საკონსერვო ქარხანას, დამზადების გაერთიანებას, სამტრესტის ქარხანას და სხვებს ვუმადლით. ყოველ თამაშზე ვაწყობთ ლატარიის გათამაშებას. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ვათამაშებთ არის პერმის ტრაქტორი. მეორეს მხრივ, გვიჭირს ინვენტარი. არ გვაქვს ფორმები. გვაქვს მხოლოდ შვიდი ბურთი, რომლითაც ვვარჯიშობთ და ვთამაშობთ. რაც შეეხება ბაზას, ჩვენს განკარგულებაშია სოფელ სალხინოს და ციხესულორის მოედნები, თავად გუნდი კი უმეტესწილად ვანის ტურბაზაში ცხოვრობს. დიდ ყურადღებას გვაქცევს პრეფექტურა. ვფიქრობ, ყველა წინაპირობაა იმისა, რომ მომავალში ვანში კარგი პროფესიული გუნდი ჩამოყალიბდეს.

კლუბის პრეზიდენტი გიული ჩახუნაშვილი საქმეებით იყო გართული და სასაუბროდ ვერ შოუიხელთე. ბუნებრივია ჩემი ინტერესი, თუ ჩვენს საფეხბურთო ხულიგნობის ეპოქაში როგორ იქცევიან ვანელი გულშემატკივრები. ხობელებთან მატჩისას ისინი მხარში ედგნენ თავიანთ გუნდს და ამავე დროს კორექტულნი იყვნენ. „სულორის" მესვეურებმა კი მითხრეს, მსაჯი რომ მოგვემხროს, ამას არათუ მოიწონებენ, პირიქით არ გვაპატიებენო.

ბოლოს მინდა გაგაცნოთ „სულორში" მოთამაშე ბელორუსი ფეხბურთელი ალექსანდრე რეუდსკი. საშა 28 წლისაა, ჰყავს მეუღლე და გოგონა, რომლებიც ჯერჯერობით ვილნიუსში ცხოვრობენ. იგი თამაშობდა მინსკის „დინამოს" დუბლში, შემდეგ კი ვილნიუსის „ნერისში".

— ჩემმა ქართველმა მეგობარმა მირჩია საქართველოში ჩამოსვლა. ჩამოვედი და ვნახე გულთბილი, კეთილმოსურნე ხალხი, კარგი კოლექტივი — თქვა საშამ. ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს მასზე საქართველოს ჩემპიონატი, მან გულწრფელად მიპასუხა: — საქართველოს ჩემპიონატი ოდნავ უკეთესია, ვიდრე სხვა რესპუბლიკების პირველობები, მაგრამ საკავშირო უმაღლეს ლიგას ვერ შეედრება. ვარჯიშები აქაც და ლიტვაშიც ერთნაირია. თამაშის სტილიც ბელორუსულთან შედარებით, სადაც ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, უფრო ტექნიკურია.

— ნუთუ არაფრით ხართ უკმაყოფილო? — ვკითხე მე.

— ჯერჯერობით ყველაფრით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით კი იმ სითბოთი, რომლითაც აქ მიმიღეს. ვანელები კარგი ხალხია.

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ახალაძის ფოტო

ეროვნული ჩემპიონატი

XIII ტური

მრეტები — ოდიში	2:2
გორდა — ბათუმი	3:1
ალაზანი — კოლხეთი-13	2:1
სამგურალი — ქუთაისი	2:0
მზიური — ამირანი	1:0
კოლხეთი — სამტრედია	1:1
შევარდენი-06 — სულორი	4:2
დილა — გურია	1:1
მერცხალი — იბერია	1:4

XIV ტური

ცხუმი — გორდა	2:1
სულორი — მრეტები	2:0
სამტრედია — შევარდენი-06	2:0
ამირანი — კოლხეთი	4:1
იბერია — მზიური	7:3
გურია — მერცხალი	8:2
ქუთაისი — დილა	2:1
კოლხეთი-13 — სამგურალი	1:0
ბათუმი — ალაზანი	6:0
ოდიში — მარგვეთი	2:1

მე-8 ტურის გამოტოვებული მატჩი „იბერიასა" და „მარგვეთს" შორის დამთავრდა 6:1.
მე-13 ტურის მატჩი „მარგვეთი" — „ცხუმი" ჩაიშალა. მეორე ტაიმში მსაჯები მოედანზე აღარ გამოვიდნენ. როგორც შევიტყვეთ, ეს გამოიწვია „ცხუმის" წევრთა უდისციპლინობამ.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. გორდა	12	9	2	1	27:10	29
2. ოდიში	12	9	1	2	20:12	28
3. იბერია	11	9	0	2	37:12	27
4. ცხუმი	11	9	0	2	30:15	27
5. გურია	12	8	1	3	33:17	25
6. შევარდენი-06	12	6	1	5	20:17	19
7. სამტრედია	12	6	1	5	22:20	19
8. მზიური	12	6	1	5	13:19	19
9. ქუთაისი	12	5	1	6	21:20	16
10. სამგურალი	11	5	0	6	12:16	15
11. კოლხეთი-13	12	4	3	5	14:15	15
12. მრეტები	12	4	2	6	17:18	14
13. სულორი	12	4	2	6	15:21	14
14. ბათუმი	12	4	1	7	21:23	13
15. დილა	12	4	1	7	14:19	13
16. ალაზანი	12	4	1	7	10:23	13
17. მარგვეთი	11	3	2	6	14:24	11
18. კოლხეთი	12	2	4	6	15:23	10
19. ამირანი	12	3	0	9	15:21	9
20. მერცხალი	12	1	2	9	12:37	5

გია ახალაძის ფოტო

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ორი ტურის მატჩებში, ფბილისელმა კახი კაჭარავამ ორჯერ პეთ-თრიკი გააკეთა. ხმა გავრცელდა, რომ ეს მისი ბოლო თამაშები იყო „იბერიის" შემადგენლობაში და ნოემბრიდან იგი კვიპროსში გადადის. იმის გასაგებად, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ლაპარაკი, შევხვდით კახის და ინტერვიუ ჩამოვართვით.

კახი კაჭარავა: „ნამდვილი ფეხბურთის თამაში მენატრება"

— 18 წლამდე ფეხბურთზე სერიოზულად არც მიფიქრია, კალათბურთით ვიყავი გატაცებული და დიდ კალათბურთელობაზე ვოცნებობდი. ფეხბურთს ფიზკულტურის გაკვეთილზე თუ ვითამაშებდი ხანდახან. ერთხელ ჩემი თამაში ნახა აბაშის „ავტომობილისტის" უფროსმა მწვრთნელმა — ომარ ჭანტურიამ და მანამდე არ მომეშვა, სანამ გუნდში არ მიმიწვია. ამის შემდეგ კალათბურთისკენ აღარც გამიხედავს. 1986 წელს სამტრედიის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში IX ზონის ჩემპიონის წოდება მოვიპოვე და ქუთაისის „ტორპედოში" გადავედი. 1988 წლიდან უკვე თბილისის „დინამოში" ვარ და თუ კი რამეს მივაღწიე, პირველ რიგში დავით ყიფიანსა და რევაზ ძოძუაშვილს უნდა ვუმადლოდე.

— კახი, შენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც გაქვს ნათამაშები რამდენიმე მატჩი. თუ შეგიძლია ამ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ჩემპიონატის შედარება?

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი უდიდესი სკოლაა ახალბედებისათვის, თითოეული თამაშისათვის მზადებას ერთი კვირით ადრე ვიწყებდით. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების დონე გაცილებით დაბალია. ეს პირველ რიგში შაღალკვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობის ბრალია, არ არის შექმნილი ნორმალური სავარჯიშო პირობები. მეტოქეები მხოლოდ პირველ ტაიმში გვიწევენ წინააღმდეგობას. აღარ არის გოლით გამოწვეული ის სიხარული, რაც ადრე იყო.

— კახი, ახლა კი უშუალოდ კონტრაქტის შესახებ...

— ოქტომბრის დასაწყისში ჩვენთან ჩამოვიდა „ანორთოსისის" მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი. მან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებაც შემომთავაზა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. გარდა ამისა, კონტრაქტის გაგრძელება მხოლოდ ჩემი სურვილისამებრ მოხდება.

— სხვა წინადადებები ხომ არ ყოფილა?

— იყო შვეიციიდან, კერძოდ კლუბ „სუნდსვალიდან" სადაც ცხადაძე და ჭედია თამაშობდნენ. ახლა ისინი „მალმიოში" აპირებენ გადასვლას და გთავისუფლებული ერთი ადგილი მე შემომთავაზეს. მაგრამ ვინაიდან „სუნდსვალი" შვეციის პირველი ლიგის დებიუტანტია, ხოლო „ანორთოსისი" თავისი ქვეყნის ერთ-ერთი ლიდერი და ხშირად გამოდის ევროპის საკლუბო ტურნირებში, ისევ კვიპროსში წასვლა ვარჩიე. მინდა ევროპის სარბიელზე ვითამაშო.

ესაუბრა
გიგა გაჩავა.

კალათბურთი

პირველი ტურის შუქ-ჩრდილები

როგორც იქნა, მრავალჯერადი გადატანის შემდეგ, სტარტი აიღო საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა კალათბურთში. პირველი ტური ქუთაისში, თელავსა და თბილისში გაიმართა. ვიდრე ახპარეზობის სპორტულ მხარეზე გადავიდოდეთ, მინდა ყურადღება შევაჩერო რამდენიმე პრობლემურ საკითხზე, რომლებიც ორგანიზაციულ მხარეს ეხება. ქუთაისში, სადაც თავი მოიყარეს თბილისის აგრარული უნივერსიტეტის, „მერანის" (ყოფილი „სინათლე"), ქუთაისისა და სამტრედიის გუნდებმა. მთავარი პრობლემა აღმოჩნდა გუნდების მიღება-დაბინავება. ეს უპირველეს ყოვლისა თბილისის გუნდებს შეეხო, ვინაიდან სამტრედია საკმაოდ ახლოსაა ქუთაისთან. ტურბაზა „ზვამლში", რომელიც მასპინძლებმა გუნდებს შესთავაზეს, შეუძლებელი იყო ძილი და მატჩისათვის მომზადება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქუთაისს გაუჭირდა ორი გუნდის ნორმალურად მიღება, მაგალითად სასტუმრო „ქუთაისში", სადაც პირველი უძილო ღამის შემდეგ თავი შეაფარეს „მერანის" კალათბურთელებმა.

სულ სხვაგვარი სიტუაცია იყო თელავში. აქ მოახპარეზე თბილისის „შევარდენისა" და რუსთავის „ახოტის" გუნდებს არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. რაც შეეხება მსაჯობას, საინტერესოა, თუ რატომ ვერ ვხედავთ ისეთ გამოცდილ მსაჯებს, როგორებიც არიან ავალიშვილი, ქურიძე და გელოვანი? მათი ავტორიტეტი ხომ დიდად შეუწყობს ხელს ჩემპიონატის ნორმალურ მსვლელობას. რაც შეეხება თვითონ მატჩებს, პირველი ტურის შემდეგ სამ-სამი მოგებით ლიდერობენ ქუთაისის და თბილისის „დინამოს" კოლექტივები. თუმცა, ვფიქრობ, ეს უკანასკნელი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. საქმე ისაა, რომ პირველი ტური სხვადასხვა მიზეზთა გამო „დინამომ" ექვსი კალათბურთელით ჩაატარა. თსუ-თან მატჩის ბოლო წუთებში, როცა „დინამო" მოედანზე ოთხი კაცით დარჩა, მხოლოდ ქულათა სოლიდურმა მარაგმა იხსნა გუნდი მარცხისაგან. ეს ძალზე დამაფიქრებელი ფაქტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია თელავის „ბურჯის" დამაჯერებელი სტარტი. მან შინ ორივე თამაში სოლიდური სხვაობით მოიგო. რამ გამოიწვია თელავის გუნდის ასეთი, ერთი შეხედვით მოულოდნელი აღზევება? საქმე ისაა, რომ თელავის სპორტის მესვეურებმა გამონახეს გარკვეული სახსრები და შექმნეს თვითდაფინანსებაზე მყოფი საკალათბურთო კლუბი, რომელშიც ძლიერი სტუდენტი კალათბურთელები მიიწვიეს. თელაველთა მაგალითი მისაბაძი უნდა გახდეს ყველასთვის, ვინც რამე სერიოზულ წარმატებებზე ფიქრობს. ასევე საყოველთაო ყურადღების ცენტრშია თბილისის „მართვეს" გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ ნორჩი კალათბურთელები სამივე მატჩში დამარცხდნენ.

დიმიტრი ობოლაძე



ორიოდე სიტყვა სან-მარინოს ფეხბურთზე

1990 წლის 14 ნოემბერს, სერავალეს სტადიონ „ოლიმპიკოზე“ (4500 მაყურებელს იტევს) სან-მარინოს ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველად მიიღო მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. მეორე ქვეჯგუფის შეხვედრა შვეიცარიის ნაკრებთან დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით 4:0, მიუხედავად ამისა ეს დღე სან-მარინოს სპორტის ისტორიაში საგანგებოდ ჩაიწერება. ეს ერთი ციდა

სან-მარინოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ჯორჯო ლეონი

ქვეყანა ფიფა-ში 1988 წელს მიიღეს. ფარერის კუნძულების მსგავსად, დიდ ფეხბურთში იგი ახლა იღვამს ფეხს და თუ ფარერელებმა პირველსავე შეხვედრაში სასწაული მოახდინეს და ავსტრიის ნაკრები დამარცხეს, სან-მარინოელებს პირველი სასწაული ჯერ წინ აქვთ.

მესტე ტიტანის ძოებში განლაგებულ, 60,5 კვადრატულ კილომეტრზე დატეულ ქვეყანაში საოცრად უყვართ სპორტი და რა თქმა უნდა — ფეხბურთი. ამას მცირე სტატისტიკა აღასტურებს. ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სან-მარინოელები ოლიმპიადებში 1960 წლიდან, რომის თამაშებიდან მონაწილეობენ) 31 სპორტის ასოციაციაა გაერთიანებული, ხოლო რაც შეეხება ფეხბურთს... „ფეხბურთი სან-მარინოელთათვის სპორტის უსაყვარლესი სახეობაა, — ამბობს ეოკ-ის თავმჯდომარე ჯოვანი ვიტო მარკუჩი. — განა შთამბეჭდავი არ არის 23 000 მოქალაქიდან 1000 ფეხბურთელი იყოს?!“

ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1931 წელს, თუმცა „ცისფერებს“ (ნაკრების ფორმაა) 1986 წლის 23 მარტამდე არ უთამაშიათ. ამ დღეს სან-მარინოელები კანადელებს შეხვდნენ და ბოლო წუთებზე საკუთარ კარში გატანილი გოლი რომ არა, მატჩი ფრედ დამთავრდებოდა.

სან-მარინოში ტარდება თასის გათამაშება და ჩემპიონატი. „პრემიერ დივიზიონში“ 16 გუნდი გამოდის, სულ კი 48 გუნდი ასპარეზობს. 1990 წელს ჩემპიონატი ოქტომბრამდე ვერ დაიწყო. საქმე ის გახლავთ, რომ იქ ტურისტული სეზონი დიდხანს გრძელდება და ამ პერიოდში ფეხბურთელები ფეხბურთისთვის ვერ იცლიან.

კვირაში ერთხელ ქვეყნის უძლიერესი მოთამაშეები სავარჯიშოდ იკრიბებიან. ახალგაზრდული გუნდი ვარჯიშს ზუსტად საღამოს შვიდის ნახევარზე იწყებს, რადგან მათი უმრავლესობა სკოლის მოსწავლე ან სტუდენტია და სამსახური „კისერზე არ აწევს“. მთავარ გუნდში კი სხვა ვითარებაა. ბევრი ფეხბურთელი იტალიაში თამაშობს და ჩამოსასვლელად ვერ იცლის. ზოგი სამსახურის მერე ძალიან გადაღლილია. გუნდის მეკარე 33 წლის სტეფანო ბერტი ტანვარჯიშის მასწავლებელია და მას გაკვეთილები საღამოობანს ეწყება. ნახევარმცველი, 21 წლის ივან მატეონი მამამისის ავტოსერვისში ძექანიკოსად მუშაობს. „ჩვენ მცირე ბიზნესი გვაქვს და მუშობა გვიანობამდე გვიწევს. ამიტომაც ვგეგმავთ ხოლმე ჯარჯიშზე“ — ამბობს იგი. 31 წლის ფორტალეონი, მარკო მონტორონი კი ყოველთვის პუნქტუალურია, რადგან იგი ბაჭვებს შეადღისთვის ამთავრებს, თუმცა მასაც აქვს პრობლემა. რა უნდა იღონოს მარკომ როდესაც გაღლითი თამაშები ექნებათ? ალბათ ზშირად მოუწევს ძოკლე შეგებულებაში გასვლა.

სან-მარინოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. პრეზიდენტი ჯორჯ კრესშენტინი ფიზკულტურის მასწავლებელია, მწვრთნელი ჯორჯო ლეონი ფოსტაში მუშაობს, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი

მასიმო ბონინი

ლამბერტო კაპიკიონი ტაქსების პარკის მფლობელი და მძღოლია.

— გამარჯვება ჩვენი მთავარი მიზანი არ არის. თუმცა ფარერის კუნძულების წარმატებამ ცოტა კი შეგვაფიქრიანა, მაინც გვიჯობს თამაშის ხარისხი გავიუმჯობესოთ და ფეხბურთის საშუალებით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს



სან-მარინოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯორჯო კრესშენტინი

გავაცნოთ — ამბობს ბატონი კრეშენტინი.

ასეა თუ ისე, პირველი ნაბიჯი გადაიდგა. სან-მარინოს ნაკრების მატჩებს უკვე აშუქებენ ევროპის ყველა ქვეყნის გაზეთები.

მოამზადა ილია ბაბუნაშვილმა.

მასიმო ბონინი „სუპერვარსკვლავი“

„მე მსურს ვითამაშო სან-მარინოს ეროვნულ ნაკრებში, რათა ხელი შევუწყო ჩემი სამშობლოს მთელი მსოფლიოსათვის გაცნობას“ — ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელმაც ფეხბურთის უამრავი მწვრვალი დაიპყრო და ერთადერთი გუნდი, რომელში თამაშითაც თავის ტიტულებს ვერაფერს შეამატებს, სწორედ მისი ქვეყნის ეროვნული ნაკრებია. მისი სახელია მასიმო ბონინი. ყველაზე ცნობილი სანმარინოელი ფეხბურთელი, 31 წლის პროფესიონალი იტალიის ჩემპიონატში, „ბოლონიას“ შემადგენლობაში გამოდის. მასიმო ბონინი დაიბადა და გაიზარდა სან-მარინოში. სახლი სადაც ის ცხოვრობდა სერავალეს „ოლიმპიკის“ სტადიონის მახლობლად იყო. მისმა მამა — პროფესიით მშენებელმა ამ კოხტა სტადიონის გასახდელები და ტრიბუნები ააშენა. ბონინიმ ფეხბურთელის კარიერა აირჩია და მისმა არჩევანმა გაამართლა. რიმინის „ბელარიას“, „ფორლის“ და „ჩეზენას“ შემდეგ იგი ტურინის „იუვენტუსში“ მიიწვიეს, სადაც მან შვიდი წლის მანძილზე თითქმის 200 შეხვედრა ჩაატარა, გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, მოიპოვა ევროპისა და საკონტინენტთაშორისო თასები.

ევროპის ჩემპიონატი

III ჯგუფი

უნგრეთი — ნორვეგია 0:0

ამ მატჩს პრაქტიკულად არც ერთი ნაკრებისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა. შეხვედრაც საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა და უშედეგოდ დამთავრდა.

ჯგუფში გამარჯვების საუკეთესო შესაძლებლობა აქვს საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელსაც 13 ნოემბერს კვიპროსის ნაკრებთან გასვლით მატჩში ფრეც ჰყოფნის. პირველი ადგილის დაკავების თეორიულ შანსს ინარჩუნებს იტალიის ნაკრები, რომელიც იმავე დღეს ნორვეგიელებს უმასპინძლებს.

სსრკ	7	4	3	0	10-2	11
ნორვეგია	7	3	2	2	8-4	8
უნგრეთი	8	2	4	2	10-9	8
იტალია	6	2	3	1	9-4	7
კვიპროსი	6	0	0	6	2-20	0

VI ჯგუფი

საბერძნეთი — ფინეთი 2:0

ათენში საბერძნეთის ნაკრებმა მოუგო ფინეთის გუნდს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ინგარიში 50-ე წუთზე სარავაკოსმა გახსნა, რომელმაც 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით მოათავსა ბურთი სტუმართა კარში. ორი წუთის შემდეგ ბორბოკისმა თავური დარტყმით მეორე გოლი გაიტანა.

ამ გამარჯვების შემდეგ საბერძნეთის ნაკრები ინარჩუნებს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შესაძლებლობას. შვეიცარიის საგზურის მოსაპოვებლად ბერძნებმა წარმატებით უნდა ჩაატარონ სამი დარჩენილი მატჩი: შინ ჰოლანდიელებთან, ხოლო სტუმრად პორტუგალიელებთან და მალტელებთან.

20 ნოემბერს საბერძნეთის ნაკრები პორტუგალიაში ითამაშებს.

ჰოლანდია	7	5	1	1	15-2	11
პორტუგალია	7	4	1	2	10-4	9
საბერძნეთი	5	3	1	1	10-5	7
ფინეთი	8	1	4	3	5-8	6
მალტა	7	0	1	6	1-22	1

ფეხბურთის რუკასთან

უეფა აპირებს დროებით აკრძალოს ბელგიის ტერიტორიაზე ნებისმიერი საერთაშორისო მატჩის ჩატარება. ამით უეფა უპასუხებს ბელგიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით 1985 წელს „ეიზელის“ სტადიონის ტრაგედიაში უეფა-ს მიუძღვის ბრალი. განაჩენში ნათქვამია, რომ უეფა-მ კომპენსაცია უნდა გადაუხადოს დაღუპულთა ოჯახებს, რადგან სწორედ უეფა-მ შეარჩია ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისათვის შეუფერებელი, მოძველებული სტადიონი. თავის მხრივ, უეფამ გახაცხადა, რომ პასუხს ვერ აგებს მისი იურისდიქციით გამართული ყველა მატჩის უსაფრთხოებაზე და განაჩენს „აშკარად უსამართლო“, ხოლო ბელგიის უმაღლესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს „მიუღებელი და გაუგებარი“ უწოდა. უეფა განაჩენის გასაჩივრებას ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში აპირებს. ამას გარდა, განაცხადა უეფა-ს წარმომადგენელმა, ბელგიას შესაძლებელია აეკრძალოს თავის ტერიტორიაზე იმ მატჩების ჩატარება, რომელიც უეფა-ს იურისდიქციის ქვეშ ხდება. აკრძალვა შეეხება როგორც ნაკრებს, ასევე კლუბებს.

ესპანეთის სუპერთასი ქვეყნის ჩემპიონმა „ბარსელონამ“ მოიპოვა. განმეორებით შეხვედრაში კატალონიელმა ფეხბურთელებმა შინ ფრედ (1:1) ითამაშეს ესპანეთის თასის მფლობელთან მადრიდის „ატლეტიკოსთან“. პირველ მატჩში „ბარსელონამ“ სტუმრად მოუგო „ატლეტიკოს“ (1:0).

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას უფასათვის დაახლოებით 35 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. უეფა-ს ესპანელები დაუჯარიმა ამ ინციდენტების გამო, რომელებიც ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ევროპა ჩემპიონატის შესარჩევ მატჩის დროს მოხდა.

შოტლანდიის ლიგის თასს ედინბურგის „ჰიბერნიანი“ დაეუფლა. ფინალში „ჰიბერნიანმა“ სძლია „დანფერმლინს“ 2:0. ამ გამარჯვებით ედინბურგელებმა გაისად უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ხალხი კერპებს არ ივიწყებს

ურუგვაის ხელისუფლებამ გადაწყვიტა უკვდავყოს ამ ქვეყნის გამოჩენილ ფეხბურთელთა სახელები იმათი, ვინც 20-იან წლებში მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები და ორჯერ — 1930 და 1950 წლებში მიიღეს მსოფლიო ჩემპიონატები. ამ სპორტსმენების პატივისცემად მონტევიდეოში გაისად გრანდიოზული ძეგლი აღიმართება. ეს იქნება ფეხბურთელის სამმეტრიანი ფიგურა, რომლის ავტორია სახელგანთქმული ურუგვაელი მოქანდაკე ამადო ჩიანი. ამ ძეგლს უკვე მოუნახეს ადგილი. იგი აღიმართება „სენტენარიოს“ სტადიონის მოედანზე, რომელსაც ადგილობრივმა გულშემატკივრებმა „მარაკანა“ შეარქვეს. სწორედ რიო დე ჟანეიროს 200-ათასიან „მარაკანაზე“ 1950 წელს ურუგვაის ნაკრებმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

სიმბოლურია ისიც, რომ ამ ძეგლის აგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა. იგი რამოდენიმე საქველმოქმედო მატჩს გამართავს და მთელ შემოსავალს მშენებლობის ფონდში გადარიცხავს.

საფრანგეთს იმედი აქვს

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი. მან ეს განცხადი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას გაუგზავნა. ექსპერტთა აზრით, საფრანგეთს შეუძლია წარმატების იმედი იქონიოს. მას უკვე აქვს დიდი ტურნირების მასპინძლობის გამოცდილება. კერძოდ, 1984 წელს ამ ქვეყანაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც შესანიშნავად იყო ორგანიზებული. გარდა ამისა, 27 სექტემბრისათვის პრეტენდენტთა რიცხვი შემცირდა. ბრაზილიამ მოხსნა თავისი კანდიდატურა ქვეყანაში მზარდი ეკონომიკური კრიზისის გამო. ამ გადაწყვეტილების შესახებ სულ ახლახანს გაანცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიქეირამ. მანამდე ერთი თვით ადრე ფიფა-მ ასეთივე განცხადება მიიღო ინგლისისაგან. ამეკარად დარჩა ორი პრეტენდენტი — შვეიცარია და მაროკო. ახლა მათ საფრანგეთიც დაემატა. ყველაფერი გადწყდება 1992 წლის 2 ივლისს, ფიფა-ს აღმასკომის სხდომაზე.

XVI ეტაპი (3 ნოემბერი)

ავსტრალია



1990 — ნელსონ პიკე
1989 — ტიერი ბუტსენი
1988 — ალენ პროსტი
1987 — ბერჰარდ ბერგერი
1986 — ალენ პროსტი

სამხრეთ ავსტრალიის შტატის უდიდესი ქალაქი ადელაიდა ფორმულა 1-ის რუკაზე 1985 წელს „გაჩნდა". მწვანე კონტინენტის პირველი „გრან პრი" ფინელმა პილოტმა, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონმა კეკე როსბერგმა მოიგო „უილიამს-ჰონდათი". ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე გაშენებულ ამ ქალაქის ქუჩებში გამავალ ტრასაზე ზეგ მეშვიდედ დაამთავრებენ მსოფლიო ჩემპიონატს დედამიწის უსწრაფესი მრბოლები. აქამდე ჩატარებული ექვსი რბოლიდან ადელაიდაში, ბოლო ეტაპზე, მხოლოდ ერთხელ — 1986 წელს გაირკვა მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა. ფორმულის „პროფესორმა" ალენ პროსტმა ავსტრალიის დიდი პრიზის მოგებით მეორედ მოიხვეჭა უძლიერესის ტიტული. დანარჩენი ხუთი ეტაპი კი ფორმულური ხასიათისა იყო.

ასეა წელსაც — რბოლას თითქმის აღარავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ჩემპიონატის სამივე პრიზიორის ვინაობა უკვე ცნობილია.

ქუჩის სხვა რთული ტრასების ანალოგიურად, 3778 მეტრი სიგრძის ეს წრეც საკმაოდ ნელია — რეკორდი „სულ რაღაც" 174,009 კმ-ია საათში. ეს შედეგი შარშან აჩვენა „ფერარითო" მოასპარეზე ნაიჯელ მენსელმა. სულ რბოლისას 81 წრის საერთო სიგრძე 306,018 კმ-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ადელაიდაში ვერც ერთხელ ვერ მოახერხა გამარჯვება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა აირტონ სენამ. არადა, 16 ქვეყნიდან მას დღემდე მხოლოდ ორგან — ავსტრალიასა და საფრანგეთში არა აქვს მოგებული დიდი პრიზი.

როცა პრეზიდენტი გთხოვს...

აფრიკის რეკორდსმენს ას მეტრზე სირბილში, ნაბიელ ფრანკ ფრედერიქსს გადაწყვეტილება ერთადერთმა ტელეფონის ზარმა შეაცვლევინა. ფრედერიქსი იმ სპორტსმენთა რიცხვში გახლდათ, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს კაიროში მიმდინარე სრულიად აფრიკის თამაშებს. თავის პოზიციას რეკორდსმენი იმით ხსნიდა, რომ თუმცა ნამიბიამ 1990 წლის მარტში მიიღო დამოუკიდებლობა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გამგებლობიდან გამოვიდა, ამ ქვეყნის სპორტულ მოძრაობაში კვლავ გრძელდება რასობრივი დისკრიმინაცია და ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები უწინდებურად თეთრკანიან სპორტსმენებს ანიჭებენ უპირატესობას. ნამიბიელ ათლეტთა მონაწილეობა აფრიკის „ოლიმპიურ თამაშებში" მეტად საეჭვო გახდა. ამან დააშინა სპორტის ფუნქციონერები. მათ, როგორც იტყვიან, სასწრაფოდ გადასინჯეს პოზიციები — გუნდებში მუქკანიან ათლეტთა რიცხვმა იმატა. ფრედერიქსმა ეს ბარსელონაში შეიტყო, სადაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „გრან პრის" სერიის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობდა. მაგრამ სპორტსმენი კაიროში გამგზავრებაზე საბოლოოდ დათანხმებას არ ჩქარობდა — დაღლილობას იმიზეზებდა უმძიმესი, მაგრამ მისთვის მეტად იღბლიანი სეზონის შემდეგ. ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატიდან იგი გმირად დაბრუნდა. 23 წლის სპორტსმენმა 200 მეტრზე სირბილში მეორე ადგილი დაიკავა და სპრინტში კონტინენტის რეკორდი დაამყარა. 100 მეტრზე სირბილში იგი მეხუთე იყო, მძლეოსნობის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით — 9,95 წმ. ეს იმ სერიაში მოხდა, სადაც ამერიკელმა კარლ ლუისმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 9,86 წმ.

ასე იყო თუ ისე, ფრედერიქსი გაემგზავრა აფრიკის თამაშებზე. საქმე ის გახლავთ, რომ ბარსელონაში მას პირადად თხოვნით დაურეკა ნამიბიის პრეზიდენტმა სემ ნუიომამ. ფრანკი დათანხმდა და სამშობლოში იქნის მედლით დაბრუნდა. კაიროში მან ყველას აჯობა ას მეტრზე სირბილში — 10,18 წმ.

თუ კაცი მოინდომებს მიუწვდომელი არაფერია!

ჩვენი ინდექსია 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაპ. 3 თვე — 5 მან. 19 კაპ.
6 თვე — 10 მან. 32 კაპ. 12 თვე — 20 მან. 76 კაპ.

გამოიწერეთ!

აქეთური, იქითური...

ცნობილი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, გერმანიის უფროსი — მდიდარი სპორტსმენია. მისი წლიური შემოსავალია 19,25 მილიონი დოლარი. მეორე ადგილზეა მისი არანაკლებ ცნობილი თანამემამულე შტეფი გრაფი. იგი წელიწადში 15.6 მილიონ დოლარს იღებს. მათთან შედარებით წლევანდელი მძლეოსნური სეზონის გმირის, ორ სპრინტერულ დისტანციაზე მსოფლიო ჩემპიონის, კატრინ კრაბეს შემოსავალი ხურდა ფულს მოვაგონებთ. იგი მხოლოდ 500 ათას დოლარს იღებს.

• • •

ექვსი მილიონი დოლარი — ასეთია იმ კონტრაქტის ფასი, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დადო სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო ტელეკომპანიასთან. კონტრაქტი ითვალისწინებს 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციას. კონტრაქტს იურიდიული ძალა ექნება მაშინაც კი, თუ სამხრეთ აფრიკა ბარსელონას ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მიიღებს.

• • •

გახდნენ რა კვლავ დამოუკიდებლები, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები — ესტონეთი, ლატვია და ლიტვა, მიიღეს მორიგ, ნიჰბოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში. ახლა, როგორც ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჯონ ბუტბიმ განაცხადა, ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებს შეეძლებათ დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა უველა საერთაშორისო შეჯიბრებაში.

• • •

1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე, ეროვნული სპორტსმენები პროგრამის მხოლოდ ორ სახეობაში გამოვლენ. ესპანეთში ამ ქვეყნის წარმომადგენლები — იქნებიან მსროლელები და ძალოსნები, რომელთა სახელებიც წლის ბოლოს, შესარჩევი შეჯიბრებების შემდეგ გახდება ცნობილი.

• • •

ნამიბიაში შეიქმნა ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია. მის თავმჯდომარედ აირჩიეს გერმანულენოვანი გაზეთის „ალგემაინე ციტუნგის" რედაქტორი. ახალმა ორგანიზაციამ გაერთიანა ამ უძველესი თამაშის მოყვარული არარასობრივი კლუბები. ნამიბიას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში გაწევრიანდება ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციაში და მისი ეგიდით გამართულ უველა შეჯიბრებაში (მათ შორის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაშიც) მიიღებს მონაწილეობას.

• • •

სოკ-ის ბიულეტენ „ტიმ ოლიმპია ინფორმეშნ"-ის ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულია პროგნოზი ოლიმპიადის წინ. პროგნოზი გაკეთდა წლევანდელი ზაფხულის შეჯიბრებათა შედეგების ანალიზის მიხედვით. იგი სპორტის უველა სახეობის (რომელიც ბარსელონა — 92-ის პროგრამაშია) 70 პროცენტს მოიცავს. პროგნოზის თანახმად, გაერთიანებული გერმანიის გუნდი უსწრებს აშშ-ს და სსრკ-ს ნაკრებებს. მან დააგროვა 89 მედალი (30 ოქრო, 26 ვერცხლი, 33 ბრინჯაო). მეორე ადგილზეა სსრკ — 88 (27,31,28), მესამეზეა — აშშ — 72 (27, 26, 19). მეოთხე ადგილი ჩინეთს ხვდა — 39 მედალი. მეხუთე — უნგრეთს — 28, მეექვსე იტალიას — 21, მეშვიდე — გაერთიანებულ კორეას — 20.

აქეთური, იქითური...

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

«ახალზელანდიური ეპოქის» დასასრული

მსოფლიო თასის მეორე გათამაშება რაგბიში. ნახევარფინალები

ედინბურგი. „მარიფილდის" სტადიონი. 26 ოქტომბერი

შოტლანდია-ინგლისი 6:9 (6:3)

შოტლანდია: გეკინ ჰესთინგსი; თონი სთეინჭერი, სქოთ ჰერითინგსი, შონ ლენინი, ალან თუქალო; ჭრეიგ ჩალმერსი, გარი არჩსთრონგი; დეკიდ სო�d (კაპიტანი), ჯონ ალანი, ფოლ ̀ერნელი, ჯონ ჯეფრი, ჭრის გრეი, დოდი ვაარი, ფინლი ქოლდერი; დერეკ ვაითი.

2 საჯარიმო: ჯეკინ ჰესთინგსი (№ 15)

ინგლისი: ჯონათან ვები; საიმონ ჰელიდეი, ვილ ჭარლინგი (კაპიტანი), ჭერეთი გასქოთი, როორი ანდერვუდი; რობ ენდრიუ, ̀იჩარდ ჰილი; ჯეისონ ლენარდი, ბრიიან მური, ჯეფ ფრობინი; ̀ეკ სქინერი, ვეიდ დუნი, ფოლ ეკუორდი, ̀ფითერ ვინთერბოთომი; მაიკ თიგი.

2 საჯარიმო: ჯონათან ვები (№ 15), 1. არეკნი: რობ ენდრიუ (№ 10)

მსაჯი: ჭერი ფეთსჭერალდი (ავსტრალია)

ეს ძველი მეტოქეების 107-ე შეხვედრა გახლდათ, და როგორც ყველა, ესეც უშედავათო ბრძოლით აღინიშნა. შოტლანდიელებმა მოწინააღმდეგის შეცდომებზე გამოჭერის ტაქტიკა ირჩიეს, ინგლისმა კი ფეხით ბურთაობა გადაწყვიტა და როგორც გაირკვა, არ შემცდარა.

თავიდან შოტლანდია დაწინაურდა — გ.ჰესთინგსმა ორი საჯარიმო შეაგდო. ამისობაში ინგლისმა მოუხშირა ფეხით თამაშს და სისხლიც გაუშრო ქეტოქის უკანა ხაზს. მცველმა კებმაც დაიწყო კარებში ხეირიანად დარტყმა, ორი საჯარიმო გაიტანა, თუმცა, მანამდე ოთხი გააცუდა.

მატჩის ბოლოს ინგლისი მეტრქის ლელოსთან „ასახლდა". ლელო უნდა გასულიყო, მაგრამ გავიდა არეკნი. ეს ენდრიუმ გააკეთა. 30 წლის ენდრიუ, ბოლო წლების ინგლისის საუკეთესო გარე ნახევარმცველი, აქამდე ხუთჯერ იყო ნაკრებში შეყვანილი და გამოყვანილი. ერთხელ იგი ჩხუბისთვის დაითხოვეს, მეორეჯერ — ცუდი თამაშისთვის. ერთხელაც კი, თავად თქვა უარი: უნივერსიტეტში მაქვს ჩასაბარებელი და საბურთაოდ არ მცალიაო.

საინტერესოა, რომ 1988 წლის 5 მარტს, ამ გუნდების შეხვედრაში „ხუთი ერის პირველობის" ფარგლებში რომ გაიმართა ზუსტად ამ სტადიონზე, ზუსტად ასეთი ანგარიშით დამთავრდა, ბურთებიც იგივე ხალხმა და იგივე თანმიმდევრობით გაიტანა. თუ მაშინ შოტლანდიამ მხოლოდ „კალკუტის თასი" დაკარგა (ჯილდო ინგლის-შოტლანდიის მატჩში გამარჯვებისათვის), ახლა ფინალის საგზური და ჩემპიონობის რეალური შანსიც გაუშვა ხელიდან.

დუბლინი. „ლენსდაუნ როუდის" სტადიონი. 27 ოქტომბერი.

ახალი ზელანდია — ავსტრალია 6:16 (0:13)

ახალი ზელანდია: ჭიარან ჭრაული; ჯონ ჭირვანი, ჭრეიგ ინესი, ჯონ მაქჭაპლი. ჯონ თიმუ; გრენთ ფოქსი, გრემ ბაშოფი; სთიკ მაჭჭდოუელი, შონ ფითსფატრიკი, რიჩარდ ლოუ, ალინ ვეთონი, იან ჯოუნზი, გერთ ვეთონი (კაპიტანი), მარკ ჭართერი; ზინზან ბრუკი.

2. საჯარიმო: გრენთ ფოქსი (№ 10)

ავსტრალია: მართი რობაჭი; დეკიდ ჭემფიზი, ჭეისონ ლითლი, თიმ ჰორანი, რონ ეკერთონი; მაიკლ ლაინაფი, ნიკ ფარ-ჯოუნზი (კაპიტანი); თონი დეილი, ფილ ჭერნსი, ივენ მაჭჭენზი: საიმონ ფოიდევინი, ჯონ ილსი, როდ მაჭჭოლი, ვილი ოფაჰენგავე; თროი ჭოჭერი.

2. ლელო: დეკიდ ჭემფიზი (№ 14), თიმ ჰორანი (№12).

1 გარდასახვა, 2 საჯარიმო: მაიკლ ლაინაფი (№ 10)

მსაჯი: ჯიმ ფლემინგი (შოტლანდია)

ბოლო წლები მსოფლიო რაგბიში „ახალზელანდიურ ეპოქად" იწოდება, რადგან ამ ქვეყნის ნაკრებმა გუნდი არ დატოვა, რომ არ გაენადგურებინა. „ოლ ბლექსი" (ნაკრების სახელია) 1986 წლიდან მხოლოდ ორჯერ დამარცხდა — შარშან და წლეულს და ორივეჯერ ავსტრალიასთან.

ეტყობა, ავსტრალიელებმა მეზობლებისათვის უძლიერესის ტიტულის ჩამორთმევა გადაწყვიტეს. ამისთვის მათ მეტოქეს მისივე იარაღი დაუპირისპირეს — შერკინებაში რვა უშველებელი და ჯანიანი მოთამაშე ჩააყენეს და იქით შეავიწროვეს მსოფლიოში უძლიერესი, ღონით განთქმული ახალზელანდიელი მორკინალები.

ავსტრალიელ მორკინალებს სამმეოთხედელებიც წამოეშველნენ და პირველ ტაიმში სულ გააცამტვერეს „ოლ ბლექსი": ქემფიზმ საერთაშორისო მატჩებში 46-ე ლელო გაიტანა, კადევ ერთის გატანაც შეეძლო, მაგრამ დიდსულოვნად დაუთმო ეს შანსი ჰორანს.

ახალზელანდიელები გაბრაზდნენ, მთელი ტაიმი უტევდნენ, მაგრამ დაცვაში ჩინებულად მოთამაშე ავსტრალიელებმა მათ ლელო არ გაატანინეს. ფოქსმა მხოლოდ ორი საჯარიმოს გატანა მოახერხა. ამ გამარჯვებით ავსტრალია ფინალში გავიდა და ბოლო მოუღო ახალზელანდიელთა უძლეველობას.

ფინალში, ხვალ, ლონდონის გარეუბან თვიქნემის სტადიონზე ითამაშებენ ინგლისი და ავსტრალია. მესამე ადგილი კი დაიკავა ახალმა ზელანდიამ, რომელმაც გუშინწინ, უელსის დედაქალაქის, ქარდიფის „არმზ ფარქის" სტადიონზე სძლია შოტლანდიას 13:6.

„სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"

გამოდის პარასაქეოგანი
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ჯსს გამოთვლითი ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ნოშარაულის ქ. 29

რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია